ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

საბურთალოს მაჟორიტარის ავთანდილ ცინცაძის ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

2022 წლის ანგარიში

- მე-7 მოწვევის საკრებულოში, წარმოვადგენ საბურთალოს რაიონის მოსახლეობის ინტერესებს.
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
- ასევე, გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მე, როგორც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი წევრი, ყოველდღიურ რეჟიმში ჩართული ვარ მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში. ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, გავუწიო თითოეულ მოქალაქეს დახმარება. ჩემს წარმომადგენლობაში, თითქმის ყოველდღიურად გვაკითხავენ ადამიანები სხვადასხვა საჭიროებებით - მეტწილად, სოციალური, ჯანდაცვისა და დასაქმების პრობლემებით. ვინაიდან, საბურთალოს რაიონს აქვს შემოერთებული ტერიტორიები, ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხი. ასევე, სატრანსპორტო მიმართულებით არსებული რიგი პრობლემები. ცხადია, აქტიურად ვთანამშრომლობ შესაბამის უწყებებთან, რათა ერთობლივად დავძლიოთ ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევები.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, მუდმივი კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მათ პრობლემებზე მყისიერი რეაგირება. გარდა წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრებისა, მოსახლეობის თხოვნით თუ პირადი ინიციატივით, მივდივარ კონკრეტულ მისამართებზე და ადგილზე ვეცნობი ვითარებას. ცხადია, პანდემიამ, ერთი მხრივ, ხელი შეუშალა მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების ფორმატში ურთიერთობას, თუმცა, მეორე მხრივ, ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციის წარმართვის საინტერესო გამოცდილება შეგვძინა. ჩემს ფეისბუქ პლატფორმაზე იტვირთება როგორც საბურთალოს რაიონში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია, ასევე, დედაქალაქის მასშტაბით არსებული მნიშვნელოვანი სიახლეები. ჩემს გამომწერებს საშუალება აქვთ, დამისვან შეკითხვები და ოპერატიულად მიიღონ პასუხი. ვეცნობი განსხვავებულ მოსაზრებებს. პროცესი ინტერაქციული და ინფორმაციულია. მაძლევს საშუალებას, დავინახო სრული და რეალური სურათი, შევაფასო მოსახლეობის განწყობა, გამოვკვეთო პრიორიტეტები, რათა საბოლოო ჯამში, დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში მაქსიმალურად აისახოს მოსახლეობის ინტერესები.
https://www.facebook.com/GDAvtandilTsintsadze

- როგორც აღვნიშნე, სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით, ვცდილობთ, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსახლეობის მოთხოვნები. ამ მიზნით, საბურთალოს რაიონის გამგეობაში ფუნქციონირებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. უშუალოდ ჩემი ინიციატივით, საბჭოს წევრები, საბურთალოს რაიონის მაცხოვრებლები რაიონის გამგებელთან ერთად, პერიოდულად ვიკრიბებით და ვმსჯელობთ რაიონისათვის პრიორიტეტულ პრობლემებზე და მათი მათი გადაჭრის გზებს განვიხილავთ. ამ ფორმატში, შევხვდით მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სამსახურის უფროსს და რაიონში ტრანსპორტის მიმართულებით არსებულ სიტუაციაზე ვისაუბრეთ. მოსახლეობის თხოვნით, რამდენიმე ლოკაციაზე დაემატა ახალი ხაზი, დამონტაჟდა შუქნიშნები, სიჩქარის შემაკავებელი ბარიერები, შეიცვალა მოსაცდელები, დაიხაზა ქუჩები. საბჭოს წევრებს და მოქალაქეებს დეტალურად გავაცანით ის რეფორმა, რომლის დასრულების შემდეგ, როგორც საბურთალოზე, ასევე, მთელს თბილისში ტრანსპორტი ბევრად უფრო კომფორტული გახდება მოქალაქეებისთვის.

- ❖ მინდა აღვნიშნო, რომ საბურთალოს რაიონი ყველაზე მეტად დაზარალდა წლების მანძილზე მიმდინარე ქაოტური განაშენიანებით. ამიტომ მწვანე სივრცეების მოწყობას - ბაღების, სკვერების, პარკების მშენებლობას ალტერნატივა არ აქვს. სწორედ ამიტომ, საბურთალოს რაიონის გამგეობა, სადაც კი ამის შესაძლებლობა ეძლევა, აწყობს ულამაზეს რეკრეაციულ სივრცეებს, რამდენიმე მათგანს გამოვყოფ:

- ➢ ალ. ყაზბეგის გამზირის N19 და N19ა.

2 500 კვ/მ ფართობზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, LED განათების ქსელი, ტრენაჟორები, საპარკე სკამები და ორი საბავშვო ზონა, სადაც სხვადასხვა სახის ატრაქციონები დამონტაჟდა. აგრეთვე, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და სკვერი რკინის მოაჯირებით შემოიფარგლა. პროექტის ღირებულება 345 552 ლარია.

- ➢ თოფურიძის ქუჩა N4, N14 ა და N14 ბ

1 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის ატრაქციონი დამონტაჟდა, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, LED განათების ქსელი და განთავსდა საპარკე ინვენტარი. ასევე, ტერიტორიაზე განხორციელდა გამწვანების სამუშაოები. აღნიშნული პროექტისთვის საბურთალოს გამგეობის ბიუჯეტიდან 366 393 ლარი გამოიყო.

- დიდი დიღმის მესამე მიკრორაიონის დასაწყისი

14 700 კვ.მ ფართობზე მოეწყო შადრევანი, ამფითეატრი, საბავშვო ზონა, ველობილიკი, სავარჯიშო და ძაღლების გასასეირნებელი სივრცეები, საფეხმავლო ბილიკები, ლედ განათების სისტემა. ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, რომელიც მოიცავდა სარწყავი სისტემის მოწყობას, რულონური ბალახის დაგებასა და სხვადასხვა სახეობის 735 ძირი ხე-მცენარის დარგვას.

აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობდა ძველი მოედანი, რომელიც გასხვისდა და რამდენიმე მესაკუთრე ჰყავდა. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მოხდა მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა და ტერიტორია ქალაქს დაუბრუნდა. პროექტის ღირებულება, 2 000 000 ლარს შეადგენს.

- ❖ ჩემთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების ჩართულობა და მათი მონაწილეობა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა თუ პროექტებში. ხშირად ვმართავ მათთან ინტერაქციულ შეხვედრებს, ვისმენ მოსაზრებებს, ინიციატივებს. ამასთან, ინფორმაციას ვაწვდი ახალი პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

საკრებულოს საქმინობაში მონაწილეობა

მაქვს პატივი, მონაწილეობა მივიღო დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წლიდან წლამდე, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება, რაც გვაძლევს საშუალებას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსახლეობის საჭიროებები. უმრავლესობის წევრებმა მხარი დავუჭირეთ მნიშვნელოვან გაწყვეტილებებს ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სატრანსპორტო თუ ინფრასტრუქტული მიმართულებით. ჩემთვის, როგორც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარისთვის საყურადღებოა ნებისმიერი საკითხი, რომელიც საბურთალოს ოლქს ეხება.

- საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, მიღებულ იქნა 649 განკარგულება და 113 დადგენილება. ჩატარებული 15 სხდომიდან დავესწარი 12 სხდომას.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

- საანგარიშო პერიოდიში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” ჩაატარა - 23 სხდომა, განხილულ იქნა 42 საკითხი. ჩატარებული 23 სხდომიდან დავესწარი 18-ს და მონაწილეობა მივიღე 33 საკითხის განხილვაში.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია - კომისიის წევრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია. კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, ამზადებს დასკვნებს საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე, აკონტროლებს პროცედურული საკითხების შესაბამისობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს.

- საანგარიშო პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა 16 სხდომა, განხილული იქნა 493 საკითხი. ჩატარებული 16 სხდომიდან დავესწარი 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 315 საკითხის განხილვაში.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია -

კომისიის წევრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, რომელიც თანამშრომლობს ბავშვთა-მოზარდთა, ახალგაზრდულ და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან ღონისძიებების მოწყობის მიზნით, ახორციელებს შესაბამისი პროგრამების დაგეგმვას, სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავებას.

ჩემთვის, როგორც ყოფილი სპორტსმენისთვის პრიორიტეტია ცხოვრების ჯანსაღი წესი. ვიყენებ ყველა შესაძლებლობას და ყველა პლატფორმას, რათა მაქსიმალური პოპულარიზაცია გავუწიო ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ღონიძიებები, რომელიც ეხება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, წარმატებული თუ ახალბედა სპორტსმენების და მწვრთვნელების ხელშეწყობას.

2022 წლის ანგარიში